განკარგულება:**g-31. 3122322001**
თარიღი:**18/11/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №59

2022 წლის 18 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, 110-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2022 წლის 27 ოქტომბრის N5 / 6 0 0 4 2 მომართვის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფოს (შემდგომში მის მიერ, მოთხოვნილი ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით) უსასყიდლოდ გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი:

ა) დამატებითი კატეგორიის უძრავი ქონება:

ა. ა) ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ადმინისტრაციულ შენობის პირველ სართულზე არსებული 59,49 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.10.46.002.01/500)

ა. ბ) აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N14,N15,N16 ოთახები - 56,45 კვ.მ. (ს/კ 27.02.44.003.01/501);

ა. გ) შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული - 46,15 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.05.46.002.01/500)

ა. დ) გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N1,N2,N3 ოთახები - 70,56 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002.01/500)

ა. ე) ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული - 159,66 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.09.46.013.01/500)

ა. ვ) ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ამბულატორიის შენობის პირველ სართულზე არსებული - 74,28 კვ.მ. ფართი (27.04.50.282.01/501)

ა. ზ) ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 300.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.04.49.794)

ა. თ) ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.16.46.485)

ა. ი) ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.11.47.230);

ა. კ) ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 1222.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 104,48 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.14.48.008)

ბ) ძირითადი კატეგორიის უძრავი ქონება, კერძოდ მამათის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 78,80 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.01.42.015.01.503), რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ფუნქციური დანიშნულება და ის აღარ გამოიყენება საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ოქტომბრის N56 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი